საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 25,000 მ. სამგლოვიარო განცხადება 30,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1000 მან.

პარასკევი, დეკემბრის 30
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ქმარი იულონ ერასტოს ძე, შვილი ლეონიდე იულონის ძე, მაზლი ალექსანდრე ერასტოს ძე და მეუღლე მისი ვერა თავდიროვს ასული ჭკადუევი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, დეკემბრის 28-ს, საღამოს 9 საათზე გარდაიცვალა

## ანასტასია ივანეს ასული ჭკადუასი.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე (დიდი ვახჯის ქ. № 1. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 31 დეკემბერს. მიცვალებულს გამოასვენებენ ბინიდან დილის 10 საათზე, მამადავითის ეკლესიაში.

## განცხადება

ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოების მომწვევი ცენტრალური საარჩევნო კომისია მოთავსებულია საქართველოს რევკომის სასახლეში, ოთახი № 22, ტელეფონი № 11—69. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 10-დან 2 საათამდე.

## განათლების მუშაკთა ყრილობის

მომწვევი საორგანიზაციო ბიურო აუწყებს ყველა წევრს ხსენებულ კავშირისას, რომელნიც მუშაობენ 1, 2, 3, 4 კომისარიატში და საბჭოთაშორისში არსებულ დაწესებულებებში, რომ 30 დეკემბერს საღამოს 6 საათზე ისინი ვალდებულნი არიან იყვნენ პროფკავშირთა სახლის შენობაში (დიდ დარბაზში) დელეგატების ასარჩევად. ასეთივე კრება შედგება 30 დეკემბერს დღის 3 საათზე სახალხო სახლის შენობაში (კირკის ქ.) 9, 10, 11 და 12 კომისარიატებში არსებულ დაწესებულებათა თანამშრომლებისა, რომელნიც ირიცხებიან ხსენებულ კავშირში.

## ვაშინგტონის კონფერენცია და ამერიკის მიზანი.

ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ გარდინგის ინიციატივით ქ. ვაშინგტონში მოწვეულ იქმნა კაპიტალისტურ სახელმწიფოების ანუ ე. წ. „დიდ ძპყრობელთა" წარმომადგენლების კონფერენცია. ამ ჟამად ჩვენ ხელთ არ გვაქვს დაწვრილებითი ცნობები კონფერენციის მუშაობის შესახებ და მოკლებული ვართ საშუალებას აღვნუსხოთ ვაშინგტონის რეზულტატები...

მეტად მეტად საინტერესოა ის მოვლენა, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის შეთანხმების საკითხის წამოყენება და ვაშინგტონის კონფერენციის მოწვევის ინიციატივა, მსოფლიო „ზავის" ჩამოგდების თაოსნობა ეკუთვნის ამერიკას, და არა სხვა რომელიმე კაპიტალისტურ სახელმწიფოს.

თუ ღრმად ჩავუკვირდებით შეერთებულ შტატების პაციფისტურ სულისკვეთების მიზეზს, ჩვენთვის ცხადი გახდება გარდინგის მიზნები და ინტერესები, ამერიკის ზრახვები.

უმთავრესი ხაზი, რომელიც გავლილია გარდინგის პროგრამაში, მიმართულია მებრძოლ სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალების განიარაღებისაკენ. შეერთებულ შტატების უახლოეს პრაქტიკულ მიზანს კაპიტალისტურ ევროპის ნორმალ ეკონომიკურ ცხოვრების აღდგენა - გამტკიცება შეიცავს.

ევროპის ომმა როგორც ანტანტის, აგრეთვე სხვა მებრძოლ სახელმწიფოების ეკონომიური განვითარების ცვლილებში მოიტანა ჩვეულებრივ მიმდინარეობას, კაპიტალისტური მეომარი ქვეყნები სრულ დეგენერაციის, დაცემის და განადგურების გზაზე დააყენა. აურებელი სიმდიდრე ჩაყლაპა ომმა, უსაშინლეს შედეგების წინაშე წარსდგა მთელი ევროპა.

საერთო ტრაგედიას ამერიკამ სავსებით დააღწია თავი. მსოფლიოში შეერთებული შტატები წარმოადგენს განსაკუთრებით ისეთ კუთხეს, სადაც, შედარებით, დაცულია ეკონომიური წონასწორობა და არ აქვს ადგილი იმგვარ გრანდიოზულ მოვლენებს, რომლითაც მოცულია კაპიტალისტურ ევროპის საშინაო ცხოვრება. ამის მიზეზი უმთავრესად უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ საერთაშორისო სისხლის დვრაში, იმპერიალისტურ ომში ამერიკას არ მიუღია აქტიური მონაწილეობა. ნეიტრალ ნიადაგზე დგომამ დიდად შეუწყო ხელი შეერთებულ შტატების ყოველმხრივ გაძლიერების საქმეს; ეკონომიურად ქვეყანა აღორძინდა, ძლიერ განვითარდა და მტკიცედ ჩამოყალიბდა ამერიკის ფინანსიური ბატონობა. მაშინ, როდესაც „დიდ პყრობელთა" სახელმწიფოები კოლონიალი ქვეყნების გადანაწილებისათვის იბრძოდა, იომოდა ახალ ბაზრების მოპოვებისათვის, შეერთებული შტატები თავისუფლად ეწეოდა მთელი ევროპის ექსპლოატაციას. ამერიკამ ევროპა საბაზრო ასპარეზად გაიხადა. ომის წარმოებისა და გამარჯვების უზრუნველყოფისათვის, ევროპიული ქვეყნები ითხოვდა აურებელ საქონელთა დამზადებას, ამ გარემოებით მოხერხებულად ისარგებლა შეერთებულ შტატებმა. მან გაადიდა შინამრეწველობა ჩვეულებრივზე მეტად და გაორკეცა ექსპორტის ინტენსივობა. სტატისტიკური მასალა გვეუბნება შემდეგს. შეერთებულ შტატებს შემოუტანია საქონელი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1913 წ. | —1792 | მილ. დოლარის | |
| 1914 „ | —1784 | „ | „ |
| 1915 „ | —1778 | „ | „ |

გაუტანია:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1913 წ. | 2,464 | მილ. დოლარი | |
| 1914 „ | 2,113 | „ | „ |
| 1915 „ | 3,547 | „ | „ |

ექსპორტის გაუმჯობესობის საქმესთან მოყვა შეერთებულ შტატების ფინანსიურად გაძლიერება. სახელმწიფოს სალაროში შემოვიდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1914 წ. | — 96 | მილ. დოლ. (ოქროთი) | |
| 1915 „ | —171 | „ | „ |
| 1916 „ | —494 | „ | „ |

ამრიგად, 1914—18 წ.წ. განმავლობაში ორი მოწინააღმდეგე სურათს ჰქონდა ადგილი: ამერიკის გაყვლება-გამდიდრება—ერთის მხრივ, მებრძოლ ევროპის გაღატაკება—მეორეს მხრივ. დღეს მთელი ევროპა მოქცეულია შეერთებულ შტატების კაპიტალის ბრჭყალებში. მისი ვალები აღწევს კოლოსალი რაოდენობას. აი რას გვეუბნება ოფიციალი ცნობა: შეერთებული შტატების მართებს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ავსტრიას . . . . | 12 | მილ. დოლ. (ოქროთი) | |
| ბელგიას — — | 375,3 | „ | „ |
| კუბას — — | 9,0 | „ | „ |
| ჩეხო-სლოვაკია | 91,2 | „ | „ |
| ესტონეთს — | 13,4 | „ | „ |
| ფინლიანდიას — | 8,3 | „ | „ |
| საფრანგეთს — | 3350,8 | „ | „ |
| ინგლისს — — | 4116,3 | „ | „ |
| საბერძნეთს — | 15,0 | „ | „ |
| ჰუნგრეთს — — | 1,7 | „ | „ |
| იტალიას — — | 1648,0 | „ | „ |
| ლატვიას — — | 5,1 | „ | „ |
| ლიბერიას — — | 0,02 | „ | „ |
| ლიტვას — — | 5,0 | „ | „ |
| პოლონეთს — | 135,7 | „ | „ |
| რუმინეთს — — | 36,0 | „ | „ |
| გერმანიას — — | 2456,25 (?) | „ | „ |
| რუსეთს — — | 192,6 | „ | „ |
| სერბიას — — | 51,1 | „ | „ |

როგორც ვხედავთ, ევროპაში დაბანდებულია შეერთებული შტატების 12000 მილიონი დოლარი, დაახლოებით. ყველაზე უფრო დავალიანდა „გამარჯვებული" ანტანტის ქვეყნები: ინგლისი —4,116,3 მილ. დოლარით, საფრანგეთი—3350,8 მილ. დ. იტალია—1648 მილ. დ.

ახლა ჩვენთვის ცხადია და გასაგები შეერთებული შტატების მიზნები. მას სურს ევროპაში უხვად გაცემულ თანხების განაღდება. რა გზით მიაღწევდა იგი ამას, თუ არა მებრძოლ სახელმწიფოებს შორის „ზავის" ჩამოგდებით, ევროპის ცხოვრების ნორმალ კალაპოტში ჩაყენებით, ვაშინგტონის კონფერენციით? ერთი უდიდესი, პირველხარისხოვანი საკითხთაგანი გარდინგის პროგრამაში განიარაღების საკითხია. განიარაღება აუცილებელი პირობაა სამეურნეო ცხოვრების აღდგენის, მაშასადამე აღმშენებლობითი მუშაობის წარმოებისა. და თუ დაცული იქნება ეს ძირითადი პირობა, უზრუნველყოფილი შეიქნება ვალების ანაზღაურების საქმე, მიღწეული შეერთებული შტატების მიზანი, როგორც იტყობინებიან, უკვე მომხდარა შეთანხმება კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, გამოუნახავთ მსოფლიო მძარცველებს საერთო ენა, მოქმედების საერთო პლატფორმა. ეს კი იმის გარანტიაა, რომ ამერიკის ინტერესების რეალიზაცია ახლო მომავლის საქმეა.

გ. მუშიშვილი.

## ახალი ამბები

— **სტუდიის წარმოდგენა.** კვირას, 1 იანვარს მეტეხ რაიონის მუშათა კლუბის თეატრში (მიხეილის პროსპ. № 182) ქართულ დრამატიულ სტუდიის მიერ ვახტანგ გარრიკის რეჟისორობით და მონაწილეობით სრულიად ახალ მიზანსცენებით დადგმული იქნება ფ. შილლერის „ყაჩაღები".

## რუსეთი

მოსკოვი 26 დეკ. გაზეთ „იზვესტიაში" სტეკლოვი უძღვნის სპეციალურ სტატიას საფრანგეთის პრესის შეხედულობას რუსეთზე. სტეკლოვი სწერს. დახმარებას არ გვექნება ჩვენ არც საფრანგეთიდან და არც ინგლისიდან, რადგან მათ წინასწარ—იციან თავიანთი დახმარების უსათუოებლობა არსებულ პირობებში... (გამოტოვებულია) მაგრამ მთავარ გარანტიას, რომელსაც მივცემთ ჩვენ, ჩვენ კრედიტორებს, ეს არის ჩვენი მხურვალე სურვილი, ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება, რომ აღვადგინოთ ეკონომიური ცხოვრება. უკეთესი გარანტიის გამოგონება შეუძლებელია. მაგრამ თუ რომ გარანტიის სახით ხელს დაადებს ევროპიული კაპიტალი ჩვენი სიმდიდრის წყაროებს, ისინი შეხვდებიან კატეგორიულ უარს ჩვენში.

მოსკოვი 12 დეკ. „ეკონომიური ცხოვრება" იუწყება, რომ თავისუფალ ექსპლოატაციის დეკრეტთან დაკავშირებით ოქროს მადნებისა მოწყობილობის ფუნტზე და ციმბირში 20 პუნქტი ოქროს აღმოჩენისათვის, როგორც მცდელთაგან ისე სახელმწიფო კერძო პირთაგანაც შემდგარი.

პეტროგრადი 15 დეკ. პეტროგრადში ეწყობა ტრესტი სასტუმროების ექსპლოატაციისათვის. შემოღებულია დროებითი გადასახადი 10,000 მანეთი ნომრისათვის დღე და ღამეში.

## დამშეულების ბედი

არავისათვის დასამალი არ არის ის უბედურება, რომელიც დაატყდა რუსეთს სიმშილის სახით. მსოფლიო ომმა და შემდეგ რევოლიუციის ქარცეცხლში ატეხილმა კლასთა ბრძოლამ, სრულიად შთანთქა საუკუნოებით შექმნილი სიმდიდრე რუსეთისა. ძნელი იქნებოდა მეურნეობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება იმისათვის, ვინც დანგრეულ რუსეთს დაეპატრონებოდა და შეიქნებოდა მესაჭე მისი ცხოვრებისა.

ასეთი მესვეურობა და ამ სახის მემკვიდრეობა ხვდომა არგუნა ბოლშევიზმს. მხოლოდ ბოლშევიზმი გახდა ისეთი რევოლიუციონური ძალა, რომელმაც შესძლო კონტრ-რევოლიუციის დაამარცხება და სამეურნეო ფრონტის გამოლაშქრებისაკენ სწრაფი ნაბიჯების გადადგმა. სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთმა სამოქალაქო ომის შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქა, როდესაც რუსეთის მშრომელმა ხალხმა დროებით თოფი გვერდზე მიდო და ფეხი შესდგა აღმშენებლობის ხანაში, ამ დროს მას ეწვია მოუსავლიანობით გამოწვეული საშინელებასიმშილი. მოუსავლიანობამ მოიცვა რუსეთის რვა გუბერნია და სიმშილის წინ დააყენა ათეული მილიონობით მშრომელი ხალხი.

ამ სავალალო და სამწუხარო მოვლენამ, რა თქმა უნდა, მწუხარება გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლების მოყვრებში, მხოლოდ მის მტრებს კი, რომლებმაც რამოდენიმეჯერ იგემეს სასტიკი დამარცხება რევოლიუციისაგან და, რომლებსაც დღესაც ვერ მოუნელებიათ მშრომელი ხალხის ბატონობა, აღეძრათ იმედი ესარგებლათ რუსეთის ხალხის ამ უბედური შემთხვევით და მისთვის ხელიდან გამოეცალათ დიდი რევოლიუციის, დიდი ძონაპოვარი. აქედან ცხადია თუ რა ღიმილით უნდა შეხვედროდნენ ეს ვაჟბატონები რუსეთის სიმშილს! და აი მათ მოინდომეს ამ ხელსაყრელ პირობებში დასხმოდნენ თავს სიმშილით დასუსტებულ მშრომელებს, ჩაეხშოთ მათში რევოლიუციისადმი სიმპატიები და აღედგინათ თავის ბატონობა.

ასეთის გამოსვლებით კონტრ-რევოლიუციონერებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავისი კაციჭამიობა და ყველასათვის აშკარა გახადეს სურვილი თავის მეღნიერების სხვის უბედურებაზე აგებისა. ეს ვაჟბატონები არიან რევოლიუციიდან განდევნილები, შავი რეაქციის მებაირახტრენი და მათ საზღვარგარეთელი ამხანაგები—ევროპის მსუქანა კაპიტალისტები.

ასე შეხვდა რუსეთის სიმშილს ის ნაწილი საზოგადოებისა, რომლისთვისაც მიუღებელია რუსეთის რევოლიუცია. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან რუსეთის რევოლიუციაში ისინი ხედავენ თავის სამარეს, სადაც ადრე თუ გვიან უნდა ჩაეშვან შავი საქმეების, შავი ცხოვრების მოტრფიალენი.

სულ სხვა ნაირათ უყურებს ამ საკითხს მუშა-მშრომელი. ის ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, რათა სიმშილით სიკვდილს გადაარჩინოს თავისი მოძმე რუსეთის გლეხი და ამით დაუმტკიცოს მტაცებლებს, რომ რუსის გლეხი მარტო არ არის ამ უბედურების დროს, რომ მასთან არის მთელი ქვეყნის მშრომელი, მთელი ქვეყნის აჯანყებულნი მონები.

მაგრამ იქ, სადაც ცხოვრების საჭე კაპიტალისტების ხელშია, სადაც კაპიტალიზმის ბატონობას სრულქმნილი სახეები არ შერყევია, რა თქმა უნდა იმ ქვეყნის მშრომელს საშუალება არ მიეცემა აშკარა დახმარება გაუწიოს რუსეთის დამშეულებს. მხოლოდ იმ ქვეყნებში კი, სადაც მონობას და კაპიტალიზმის სრულს ბატონობას ადგილი აღარ აქვს, სადაც მთელი ძალა უფლება მუშების ხელშია, ასეთები კი არიან საბჭოთა სახელმწიფოები, ამ სახელმწიფოების ვალია შეძლების დაგვარათ შეუმსუბუქონ ცხოვრების ტვირთი რუსეთის დამშეულებს. ჩვენ ქართველები არ ჩამოვრჩებით სხვებს უკან და ჩვენ შესაფერის. წვლილს გავიღებთ დამშეულთათვის.

კარგი ხანია რაც ნაწილი დამშეულ ბავშვებისა ტფილისში ჩამოიყვანეს და ახლად კიდევ ჩამოიყვანებენ. ასევე იგზავნებიან ბავშვები სომხეთში და აზერბეიჯანში.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ მეტი ნაწილი მათი გზაში იხოცება და ავად ხდება. ამ რამოდენიმე დღის წინათ ტფილისში ჩამოიყვანეს ბავშვები, რომელთა შორის ორმოცზე მეტი მკვდარი აღმოჩნდა. უკანასკნელი ცნობების მიხედვით დამშეულ გუბერნიებში სიმშილს თან დაერთო სიცივე, რაც სიცოცხლეს უსპობს და ანადგურებს ათასობით შრომის შვილებს.

ასეთი ბედი არგუნა ცხოვრების ულმობელმა კანონმა რუსეთის ხალხის იმ ნაწილს, რომლებიც სიმშილს განიცდიან და ჩვენი ვალია შეძლების დაგვარი დახმარება გავუწიოთ მათ.

მ. ნოზაძე.

## ინსტრუქცია

ინსტრუქტორები და საქ. სოც. საბჭ. რესპ. საბჭოთა საარჩევნო კომისიებს.

I

ჩანი ცოდნა აუცილებელი ინსტრუქტორებისა და საარჩევნო კომისიათათვის.

ინსტრუქტორებმა და საარჩევნო კომისიებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ:

1. დებულება არჩევნებისა—გამოქვეყნებული საქართველოს რევკომის მიერ.

2. ვინაიდან საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია უნდა გამომუშავდეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობის მიერ, ასეთის უქონლობის გამო, აუცილებელია რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ცოდნა და მისი ხელმძღვანელობა იმ პრინციპიალ საკითხების გადაწყვეტის დროს, რომელიც ადგილობრივ შეიძლება აღმოცენდეს.

3. საბჭოთა ხელისუფლების პრინციპები და ძირითადი დებულებანი რუსეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციაზე დამყარებით, (მიხედვით) განმარტებული და დალაგებული არიან საბჭოთა მე-7 და მე-8 ყრილობათა დადგენილებებში, ამისათვის ინსტრუქტორებმა და საარჩევნო კომისიებმა უნდა იცოდნენ ამ დადგენილებათა ის ნაწილი, რომელიც საბჭოთა აღმშენებლობას შეეხება.

4. ცენტრ. აღმასრ. კომიტ. მიერ გამოცემული მთელი ხელმძღვანელი ლიტერატურა.

5. საბჭოთა ხელისუფლების აღმოცენების ისტორია რუსეთში და საქართველოში.

II

თემის საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნების წესი.

6. ინსტრუქტორები თემის არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ადგილობრივ ჩასვლისას, უნდა გაეცნონ თემის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და გაეცნონ იმ ნამუშევარს რომელიც თემის საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ არის ნაწარმოები.

7. უკეთუ, ინსტრუქტორის თემში მისვლის ხანს კიდევ არ არის შექმნილი თემის საარჩევნო კომისია, ინსტრუქტორი ამის შესახებ ცნობას აძლევს სამაზრო რევკომს და სამაზრო საარჩევნო კომისიას, რომელნიც მიიღებენ ზომებს თემის საარჩევნო კომისიის შესაქმნელად.

8. უკეთუ, თემის საარჩევნო კომისიის მიერ არ არის აღნუსხული რიცხვი და პიროვნებანი, რომელთაც აქვთ უფ-

ლებს აირჩიონ და თვითონაც იქნენ არჩეულნი. ინსტრუქტორი ვალდებულია გაუწიოს დახმარება თემის საარჩევნო კომისიას და შეასრულოს მასთან ერთად საჭირო მუშაობა.

9. უკეთუ, საარჩევნო კომისია უკვე შექმნილი არის — ინსტრუქტორი ვალდებულია შეამოწმოს სისწორე აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა აღნუსხვისა, არის თუ არა შეტანილი სიაში, თუ ის შედგენილია, დებულების თანახმად საარჩევნო უფლებას მოკლებული პირები და ან არის თუ არა საერთოდ საჩივრები შედგენილი სიის გამო.

10. თემის საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ყველა, ვისაც საარჩევნო უფლება არა აქვს ჩამორთმეული, როგორც სოფლის მუდმივი მცხოვრებნი, აგრეთვე დროებით მცხოვრებელნიც (როგორიცაა მაგ. მწყემსები, შეშის მჭრელნი, შეშის სამზადისზე მომუშავენი და სხვ.) თანახმად დებულებისა.

11. სიების შემოწმების შემდეგ, ინსტრუქტორმა უნდა მოიწვიოს რამდენიმე წინასწარი საარჩევნო კრებები, რომელზედაც მან უნდა აუხსნას ამომრჩევლებს: ა) საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტში არჩევნების წესი, ბ) საბჭოთა ხელისუფლების ისტორია რუსეთში და საქართველოში, გ) რათა აქვს ზოგ მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და ზოგს კი ეს უფლება არა აქვს, დ) არჩევნების მნიშვნელობა, ე) აქამდე რატომ რევკომები არსებობდნენ და ეხლა კი საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები აირჩევიან, ვ) რა არის საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი, ზ) საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტის შორის ურთიერთი დამოკიდებულება, ი) საბჭოსა და აღმასრულებელ კომიტეტის მოღვაწეობის წრე, კ) თემისა და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს შორის ურთიერთი დამოკიდებულება.

12. თემის საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებისათვის დანიშნულ დღეს ინსტრუქტორისათვის აუცილებელია დასწრება და თვალყურის დევნება: ესწრება თუ არა კრებას საკმარისი რიცხვი ამომრჩეველთა, სწორედ სწარმოებს თუ არა კენჭისყრა და, როგორ არის გადაწყვეტილი უკუსაჩივარი განცხადებანი (განცხადებანი რომელიმე ამომრჩეველთათვის ხმის ან საერთოდ საარჩევნო უფლების წართმევის შესახებ) და საჩივრები, თუ ასეთებს ქონდათ ადგილი.

13. თემის საბჭოები, თანახმად საარჩევნო დებულებისა, შექმნებიან იმ ანგარიშით, რომ სოფლის მოსახლეობის ყოველ 100 მცხოვრებზე მოდიოდეს 1 დელეგატი. იმ შემთხვევაში, თუ თემის საზღვრებში შედის რამოდენიმე სოფელი, რომელთა ამომრჩევლებს რაიმე მიზეზის გამო (ავდარი, მანძილთა სიშორე და სხვ.) არ შეუძლიათ არჩევნებზე გამოცხადება, საარჩევნო კომისიის რომელიმე წევრი ან რწმუნებული ინსტრუქტორთან ერთად მიდიან ადგილობრივ და აქ ახდენენ არჩევნებს არსებულ ნორმის თანახმად, რის შესახებაც ადგენენ ოქმს.

14. ინსტრუქტორებმა და საარჩევნო კომისიებმა თვალყური უნდა ადევნონ, რომ ერთმა და იმავე მოქალაქემ ორჯერ არ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

15. თემის საბჭოს არჩევის შემდეგ, თუ არ არის საჩივრები მის წესს გარეშე არჩევის შესახებ, დაინიშნება მისი პირველი სხდომა, რომელზედაც აირჩევა აღმასრულებელი კომიტეტი რიცხვით არა უმეტესი 5 და არა უმცირეს 3 წევრისა და დელეგატები საბჭოთა სამაზრო ყრილობაზე იმ ანგარიშით, რომ ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდეს 1 დელეგატი.

III.

**როგორ ირჩევიან ქალაქებისა, დაბებისა, სამრეწველო დასახლებულ ადგილებისა და ცალკე გამოყოფილ მახლობელ სოფელთა საბჭოები.**

16. ინსტრუქტორებს, იმ ადგილების მცხოვრებთა რაოდენობის გამორკვევის დროს, სადაც ქალაქის გამარტივებული ტიპის აღმასრულებელი კომიტეტები შეიქმნებიან, (ჩამოთვლილია არჩევნების დებულებაში) მართებთ იხელმძღვანელონ 1917 წლის აღწერით.

17. არჩევნების დებულების თანახმად დებულებაში ჩამოთვლილი ადმინისტრატიული ერთეულები ჰქმნიან საბჭოს იმ ანგარიშით, რომ ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდეს თითო დეპუტატი, მათ მიერ გამომუშავებულ ნორმის მიხედვით. ამის გაგება აუცილებელია ამგვარად: თუ ქალაქში 20000 მცხოვრებია, მაშინ საბჭო შესდგება 20 დეპუტატისაგან, მაგრამ ვინაიდან ყველა არ იღებს არჩევნებში მონაწილეობას, არამედ მხოლოდ მშრომელნი, ამიტომ ვგულისხმობთ, რომ ამომრჩევლები იქნებიან 1600 კაცი ქალაქის მოსახლეობის მთელი რიცხვიდან, ამასადამე საარჩევნო მეტრი იქნება—1600 : 20 = 80 ამომრჩეველს ე. ი. 80 ამომრჩეველზე მოდის საბჭოს 1 დეპუტატი.

**საარჩევნო მეტრი ქანთება მოცემულ დასახლებულ ადგილი მოსახლეობისა და ამომრჩეველთა რიცხვის შორის.**

18. საბჭოს არჩევნების შემდეგ დაინიშნება მისი პირველი სხდომა, რომელზედაც აირჩევიან 7 წევრი აღმასრულებელი კომიტეტისა და დელეგატების საბჭოთა სამაზრო ყრილობაზე იმ ანგარიშით, რომ ყოველ 200 ამომრჩეველზე მოდიოდეს 1 დელეგატი, მაშასადამე, ზემოთ მოყვანილ მაგალითისამებრ, 1600:100=16 დელეგატს.

IV.

**როგორ ირჩევიან სამაზრო საარჩევნო კომისიები.**

19. სამაზრო საარჩევნო კომისიები დაარსდებიან სამაზრო რევკომის მიერ ხუთი პირისაგან, თანახმად ცენტრალურ საარჩევნო კომისიის დადგენილებისა.

20. სამაზრო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან: ა) დაარსონ სათემო საარჩევნო კომისიები, ბ) თვალყური ადევნონ მათი მოქმედებათა დროულად დაწყებას და არჩევნების წარმოებას, გ) ხელმძღვანელობა გაუწიონ დაბლა მდგომ კომისიებს და მათ რწმუნებულებს დ) აცნობონ არჩევნების მიმდინარეობის შესახებ, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს. ე) წარუდგინონ ყველა საარჩევნო ნაწარმოები სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს. წარუდგინონ სამაზრო აღმასრ. კომიტეტს თემის საარჩევნო კომისიის დაშლისა ან მისი ცალკე წევრის გადაყენების შესახებ. ვ) დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები თემის საარჩევნო კომისიაში მათი თავმჯდომარის უფლებებით, ზ) განიხილონ თემის საარჩევნო კომისიის მოქმედებათა გამოსაჩივრები და პროტესტები, ი) ხელმძღვანელობა გაუწიონ საარჩევნო კომისიებს იმ პუნქტებში, სადაც უნდა შეიქმნეს საქალაქო გამარტივებულ ტიპის აღმასრულებელი კომიტეტი და კ) მოიწვიონ სამაზრო ყრილობები, რომელსაც უკეთებენ მოხსენებას თავისი მუშაობისა და არჩევნების შედეგების შესახებ.

V.

**როგორ შეიქმნებიან სამაზრო ყრილობები.**

21. სამაზრო ყრილობები, დებულების თანახმად, შესდგებიან იმ ანგარიშით, რომ სოფლის მოსახლეობის ყოველ 1000 მცხოვრებზე ან ქალაქთა და გამოყოფილ საწარმოო დასახლებულ ადგილთა ყოველ 200 ამომრჩეველზე მოდიოდეს 1 დელეგატი.

22. სამაზრო ყრილობაზე არჩეულ დელეგატებს თან უნდა ქონდეს საბჭოთა იმ სხდომის ოქმი, რომელზედაც ისინი არჩეულ იქმნენ და აგრეთვე მანდატი საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის ხელმოწერით.

შენიშვნა: ოქმში უნდა იყოს ნაჩვენები მცხოვრებთა ან ამომრჩეველთა რომელ რიცხვიდან არის არჩეული დელეგატთა განსაზღვრული რიცხვი და სახელდობრ ვინ.

23. სამაზრო ყრილობა აირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს 12—დან 15 კაცამდე.

24. თემის, ქალაქის და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის არჩევის შემდეგ რევკომის შემადგენლობამ უნდა ჩააბაროს ყველა საქმეები, დოკუმენტები, ფულის ნაშთები, ქონება და ინვენტარი, სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს, რის შესახებ უნდა შესდგეს განსაკუთრებული აქტი ჩამბარებელის და მიმღების ხელმოწერით. აღნიშნული აქტი შეინახება აღმასრულებელ კომიტეტის საქმეებში.

VI.

**ამომრჩევლებს აქვთ უფლება ყოველ დროს გამოიწვიონ უკანვე მათ მიერ არჩეული დეპუტატი.**

25. ამომრჩეველთა, რომელთაც გაგზავნეს თემის თუ ქალაქის საბჭოში დეპუტატები, აქვთ უფლება ყოველ დროს გამოიწვიონ იგი უკანვე. უკეთუ ამომრჩეველთა უმრავლესობა წარმოადგენს მოთხოვნას ამა თუ იმ დეპუტატის უკანვე გამოწვევის შესახებ, მაშინ საბჭო ვალდებულია მოიწვიოს ამავე საბჭოს ამომრჩეველთა საერთო კრება. კრების უმრავლესობის დადგენილებით დეპუტატი საბჭოდან გასულად ჩაითვლება.

26. თემის ან ქალაქის საბჭოს გამოაქვს დადგენილება თავის შემადგენლობიდან დეპუტატის გასვლის შესახებ, მათ რწმუნებულებათა ვადის დამთავრებამდე:

ა) იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატმა არ წარმოუდგინა ანგარიში თავის ამომრჩევლებს, ან არ შეასრულა საბჭოს მიერ მისდამი დაკისრებული დავალება.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატი მიხედულ იქნება ისეთ დანაშაულისათვის, რომელიც მას ართმევს საარჩევნო უფლებას, თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კანონებისა.

27. რწმუნებულების ვადის დამთავრებამდე, საბჭოს შემადგენლობიდან გასულ დეპუტატს შეცვლის საბჭოს წევრობის კანდიდატი.

VII.

28. ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელმძღვანელობას უწევს არჩევნებს მთელს საქართველოში და უკეთებს მოხსენებას თავის მოღვაწეობისა და მთელს საქართველოში არჩევნების შედეგების შესახებ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას.

VIII.

29. სრულიად საქართველოს ყრილობა შესდგება სამაზრო ყრილობათა და უშუალოდ წარმგზავნელ ორი ქალაქის ტფილისისა და ფოთის დელეგატთაგან, იმ ანგარიშით, რომ სოფლის მოსახლეობის ყოველ 10.000 მცხოვრებზე და იმ ქალაქის და საწარმოო დასახლებულ ადგილებისა, რომელთა წარმომადგენლობა პირდაპირ ხედვით აირჩევიან—ყოველ 2000 ამომრჩეველზე მოდიოდეს 1 დელეგატი.

მაგალითად—თუ დავუშვით, რომ მაზრაში არის სოფლის მოსახლეობის 200.000 მცხოვრები და სამაზრო და მაზრის ფარგლებში მდებარე ქალაქებისა და საწარმოო პუნქტების 8000 ამომრჩეველი, სრულიად საქართველოს ყრილობაზე სამაზრო ყრილობის მიერ აირჩევიან 20 დელეგატი სოფლის მოსახლეობისა და 4 დელეგატი სამაზრო, მაზრის ფარგლებში მდებარე ქალაქებიდან და საწარმოო პუნქტებიდან—სულ 24 დელეგატი.

30. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის და სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევის შესახებ იგზავნება ოქმები, რომელნიც გადაეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მეორე ცალის გამოკლებით, რომელიც უნდა დარჩეს აღმასრულებელ კომიტეტის საქმეებში.

31. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე არჩეულ დელეგატებს თან უნდა ჰქონდეს სამაზრო ყრილობის ოქმი, მათი არჩევის შესახებ, სადაც უნდა იყოს ნაჩვენები მათი ამომრჩეველ მოსახლეობის და ამომრჩეველთა რიცხვი.

შენიშვნა: ანკეტები და ოქმები უნდა იქმნეს შემოწმებული თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით და სათანადო ბეჭდის დასმით.

32. ინსტრუქტორები აწარმოებენ დღიურს და ჩააბარებენ თავიანთ მოგზაურობის ანგარიშს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოების მოწვევის ცენტრალური საარჩევნო კომისია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვმა**
განაახლა მიღება
სპეციალურად სიფილისი, სუსუნატი და მისი შედეგები; სქესობრივი დაუძლურება. მიღება საღამოს 4—7 საათ. სოლოლაკი, ცეცხლმქრობელ რაზმის ქუჩ. ახალბებუთოვის ქ. № 5.
(Новобебутовская). 152.

# გამორჩენილი და დავიწყებული

(მწერალი მელანია ბადრიძე *)

(გაგრძელება.)

— „ამ ხანებშივე ძალიან მომესურვა ენათა შესწავლა და უნდა გამოგიტყდეთ, რომ საამისო ნიჭი დიდი მქონდა, მაგრამ ღმერთმა არ მომცა საამისო შემთხვევა, მშობლებიც მიშლიდნენ, არ უნდოდათ რომ მცოდნოდა რომელიმე ენა მშობლიურს გარეშე. ამას გარდა დიდი სურვილი მქონდა სიმღერის და მუსიკის შესწავლისა,—მაგრამ ამის შესახებ ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, რადგან ჩვენში, აზიაში, დედათა სქესს ეს დიდ სირცხვილად ეთვლება. სამაგიეროდ მე პირველი უმეგობრდებოდი მათ, ვისაც შეეძლო ძველი ამბების მოყოლა, ვინც მღეროდა და ვინც ზღაპრები იცოდა"-ო... მართალია რომ საშინელია ეს მდგომარეობა. პატრიარქალური ოჯახი, სადაც კონსერვატორული ტრადიციას შეუქმნია საზოგადოებრივი კლიბე, რომლის სახელი ყველამ უნდა ატაროს. განსაკუთრებული ქალის აღზრდის წესები... ქალური და ვაჟური საქმეების გაუმართლებელი დანაწილება, უკიდურესობამდე მიყვანილი. ყოველივე ახალის და მაშასადამე უჩვეულის გმობა. და ამ ატმოსფეროში პატარა ბავშვი, ცნობის მოყვარე თვალებით, ტრადიციით გაუფუჭებელ სურვილებით, გაურკვეველი, მაგრამ სათუთიდ მოსაპყრობ მიდრეკილებებით, ოჯახი—ობობა თავის აბლაბუდებში ჰხვევს ამ პატარა არსებას. ხოლო ოჯახს გარეთ კი, მეორე პირი აბლაბუდა, საზოგადოების, რომელიც მოძველებულ ტრადიციების ქსელს ძალიან უფრთხილდება და სდარაჯობს. რამდენი ენერგია და ამცნობა არის საჭირო, რომ ამ ძაფების და კვანძის ქსოვილში არ დაიხრჩოს გზისა და სიწმინდის მაძიებელი. არ მინდა ამით მელანია ბადრიძის ოჯახი რაიმე საზოგადო ბუდედ დავხატო. არა. ისინი კეთილები ყოფილან, როგორც ყველა ჩვენი დედ-მამა, მაგრამ რუტინის შეუგნებელი მოსამსახურენი, როგორც ეს სჩვევია ყველას, ჩვენშიც და სხვაგანაც.— „მეთორმეტე წელს წიგნების კითხვამ გამიტაცა. ქალურ ხელ-საქმესაც წყურვილით ვეკიდებოდი... ჩემი მოქმედება ჩემთვისვე იყო გასაოცარი. არც ერთ წუთს არ ვრჩებოდი უსაქმოდ და ამ ჩემი დაუღალავ გარომელი ცხოვრებით ვსნეულდებოდი, ხშირად ავადმყოფობდი, რაც მეტად აწუხებდა ჩემს მშობლებს". მაგრამ განა მშობლების წუხილი შეაჩერებდა ანთებულ აზრს? იგი ერთხელ არ დამდევს, თავისას მაინც აკეთებს. ოთახში არ უშვებენ წიგნის კითხვას,—ბაღში გაიპარება, ჩაუჯდება სადმე უჩინარად, იკითხავს, დასწერს, წიგნს და ქაღალდს იქვე ჩამალავს ბალახებში და დაბრუნდება შინ.— „ყველა ამას რასაკვირველია მშობლების ჩუმად ვსჩადიოდი". ეს არ იკმარა. ენების შესწავლა მოუწადინებია. ფრანგულ, არაბულ, თათრულ და რუსულ ენების სწავლა დაუწყია. ეს ენათა უსისტემო და ერთდროად შესწავლა რასაკვირველია ნაყოფს ვერ გამოიღებდა, მაგრამ მელანიას აქეც უძლევია ყველაფერი, და რუსულ-თათრული ენა კარგად შეუთვისებია. აი რა გზით მიდის მელანია.

მართლაც და რა გასაკვირველია, რომ დედა უშლიდა ამ საქმეს. ეს რა საჭირო იყო მათი ოჯახისთვის? ალბად მისი მშობლები ოცნებობდნენ მის მომავალ ცხოვრებაზე ისე, როგორც შეეფერებოდა მათ მდგომარეობას და შვენისას. ქალს გაზრდიდნენ თავ-დაჭერილად, ნაზუსიანად, ასწავლიდნენ „ოჯახის მოვლას, ვინძე „კეთილ-სინიდისიერი" შუ მაღალი ამოურჩევდა „კეთილშობილ" სასიძოს, მამულ-დედულიანს, დააბინავებდნენ ერთად ერთ ქალს და მოისვენებდნენ. აკი ამბობს კიდეც მელანია ბადრიძე ამის შესახებ:

— „რამდენჯერ მსმენია დედასაგან, რომ მე უფრო მიტომ ვუყვარვარ, რომ ვგავარ მის დიდედას, ბატონის ასულს მარინეს ისე, როგორც ორი წვეთი წყალისა. განსვენებული ყოფილა საოცრად მაღალი, ლამაზი, სათნო და ღვთისნიერი არსება; თავის უკანასკნელ სიბერეს ატარებდა ეკლესიათა აგებას და ამ ნეტარ საქმიანობაში დალია სიცოცხლის უკანასკნელი დღენი. ჩემს საბრალო დედ-მამას ეგონათ, რომ რადგან გარეგნობით დიდედას ვგავდი, რომ ყველაფერშიც დავემზგავსებოდი, და ისევე მშვიდობიანად გავატარებ ცხოვრებას; მათ სწამდათ, რომ ბედი ისევე კარგად აეკიდება, როგორც ჩვენ, და იმედი ჰქონდათ, რომ ბატონის ქალის მარინეს მიერ აგებული საყდრები ჩემდა სახსენებლად გამოდგებოდნენ. ამათ იყო ეს რწმენა. მარინეს საყდრები, ქართლის (ანუ ნამდვილ საქართველოს) ზოგიერთ კუთხეებში დღემდე არსებობენ, ჩემი ნაღვაწიერება კი გარემოებათა ბოროტ ძალების მიერ კარგახანი დამსხვრეულია".. აი როგორ უპასუხებია მელანიას დედ-მამის ფიქრს, რომელსაც ეს „დამსხვრეული ბედნიერება" ერჩივნა ალბად იმ „მილიონ ბედნიერებას", რომელსაც მას განუზრახავდნენ მიამიტ ოცნებობით.

სწავლის ნდობით შეპყრობილი მელანია გათხოვების შემდეგაც არ სცხრება. თუმცა საზოგადო დაკვირვებამ კი შეამჩნია, რომ ოჯახის მოკიდება ბევრს აცდენს ხოლმე გზას, მაღლა მიმავალს და იოლად ყოველ-დღიურ ნივთიერ საძიებლის ტბორში, მაგრამ ეს „კანონი" არ ეხებათ ძალოვან ადამიანებს, დიდ მისწრაფებებს ვერ დაამდაბლებს ოჯახის ტვირთი. პირიქით ოჯახს ან აამაღლებს, ან მოიშორებს. აბა ვნახოთ მელანიას როგორ დაღს ასვამს ოჯახის ცხოვრება.

— „გათხოვების შემდეგ კვლავ წიგნებს დავუბრუნდი, რომელნიც ჩემს ქმარს მრავლად მოეპოვებოდნენ... მათ შორის ვიპოვე რუსულ-ფრანგული სიტყვარი, ქართული თარგმანით. ამან მეტად გამახარა. დავიწყე მეცადინეობა, და იმედი მქონდა ფრანგულის შესწავლისა მაგრამ ეს ვერ მოვახერხე"-ო. ქართველი ქალი ერთბაშად ოთხ ენას სწავლობს. მაშ რა არის ეს ფაქტი, თუ არა გმირობა. დღეს ც კი, თუმცა თუ იმ დროინდელ დახშულ და ბნელ საზოგადოებრივ განწყობილების ატმოსფეროში.

— „ამ ხანებში არც წიგნების კითხვისთვის გამინებებია თავი". რასაკვირველია ამ წიგნების კითხვას არ ჰქონია და ვერც ექნებოდა სისტემატიური ხასიათი. კითხულობდა ყველაფერს, რაც ხელთ ჩაუვარდებოდა და რომელსაც მოუვარდებოდა. მის ავტობიოგრაფიაში ჩამოთვლილია ის ქართულ რუსული წიგნები, რომელნიც მას წაუკითხავს ან მიუყოლობით და ყველა წაკითხული წიგნების შესახებ აქვს საკუთარი მოკლე რეცენზია და ეს წაკითხულ წიგნთა შედარებით ისეთი დიდია, რომ იმ პირობებში მელანია ბადრიძე განსწავლულ ქალად შეიძლება ჩაითვალოს. იმ გონების სიმახვილეს რომელიც მას ახასიათებს, ეს წაკითხულიც ადვილად შესაფერისად.

— „პირველად ხელში დამიდგა ჩამივარდა, რომელიც ჩემზე უფრო დიდი იყო და მძიმე... იგი დაბეჭდილი იყო წვრილი სლავიანური ასოებით, მაგრამ ამის-და-მიუხედავად მეყავითად და სიამოვნებით ვკითხულობდი და არც ერთ წიგნს არ მოუცია იმდენი სულის მშვიდობა, როგორც დაბადებას. ხან განვცვიფრებოდი შემოქმედის საქმენი, მის დასვენების დღემდე, ხან მაინტერესებდა ადამიანის ცხოვრება ქრისტეს მოსვლამდე, ხან ღმრთისმეტყველებაში ტოვნული დღეთ მეფის ერთგულებას ღვთისადმი, და მის სათნოებას სულის სიკვდილის წინაშე.

მახსოვს, რომ ამ დროს ჩემი აზრი აფორიაქებული იყო საშინელ გაოცებით. ბიბლიური მეფეების ცხოვრებას რომ ვეცნობოდი, ისე ცოცხლად ვიდგენდი, თითქოს თვითონ ვცხოვრობდე მათ შუა. მალევე მოვიგონე, რომ ქართველები მკვდარს კი არ უწოდებენ, არამედ გარდაცვლილს, გარდაცვალება, ე. ი. სახის იცვლის, ერთი სამოსელი მეორეში გადადის; ისე რომ ჩვენი ენა გვიჩვენებს, რომ მკვდრები—მხოლოდ გარდაცვლილნი, ერთ სახლიდან მეორეში გადასულნი არიან.. და ამ ახლიდან გადასულნი სხვა ცოცხლობენ: მჩხვენა, თითქოს ისევ შეუძლია ოდენოდაც მცხოვრობს, და ეხლა კი სხვა შეცვლილი ვიყავ"-ო. ეს გულის ციტატა ისიც ამტკიცებს, რომ აქ ყველა წინადადება მხიარულობებიანია და მეტად სიმპატიურია. ეს ადრე არის უფრო მთავარიან. ეს განცდების ინტიმური ქვეყნის გამოხეთა, ეს რელიგიის და ფილოსოფიის საიდუმლო სენაკებში შეჭრა, სადაც ეჭვიან აზროვნებას ინტელექტუალური ვნება გზას უხსნის.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

*) იხ. „ტრიბუნა" № 109.